

სახელმძღვანელო

ვაქცინების მოკლე დახასიათება და მათი შენახვის წესები;
უსაფრთხო იმუნიზაციის წესები;
თვითბლოკირებადი შპრიცების გამოყენება უსაფრთხო ინექციებისთვის
აცრის ჩატარების ზოგადი ტექნიკური ასპექტები;
აცრების მონიტორინგი;

მაცივრებში, საყინულეებში, თერმოკონტეინერებსა და ცივ ყუთებში ვაქცინებისა და გამს-
ნელების განთავსების, შენახვისა და ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფის წესები;
იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენები და მათზე
ეპიდზედამზედველობა;
რეგისტრაციას დაქვემდებარებული აცრის შემდგომი გართულებების განსაზღვრებები და
განვითარების ვადები;
შეტყობინება აცრის შემდგომ გართულებებზე;
ვაქცინაციით მართვადი ინფექციების შემთხვევათა სტანდარტული განსაზღვრებები

(იმუნიზაციის განხორციელებაში მონაწილე იურიდიული და
ფიზიკური პირებისთვის – I; II; III; IV დონე)

ვაქცინაციის მოქალე დახასიათება და მათი შენახვის წესები

1. **ბცშ** - ცოცხალი ბაქტერიული, ლიოფილიზებული ვაქცინაა. თან ახლავს შესაბამისი გამხსნელი. ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში კეთდება 0,05 მლ ბცშ ვაქცინა. ინექცია კეთდება **კანში** (ინტრადერმულად) უპირატესად მარცხენა მხრის ზედა მესამედის გარე ზედაპირზე. აკრძალულია ვაქცინის სითბოში და ნათელ ადგილას შენახვა, გაყინვა დასაშვებია, თუმცა რეკომენდებული არ არის. გამხსნელის გაყინვა **დაუშვებელია**. ვაქცინა და გამხსნელი შერევისას უნდა იყოს ერთნაირი ტემპერატურის. **აღდგენილი ბცშ ვაქცინა ასაცრელად ვარგისია 6 სთ-ის განმავლობაში**. გამხსნელად გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ მწარმოებლის მიერ ვაქცინასთან ერთად მოწოდებული გამხსნელი.

ბცშ აცრის წინ მანტუს სინჯი არ კეთდება.

2. **დფტ** - ვაქცინა შედგება დიფთერიის და ტეტანუსის ანატოქსინებისა და ყივანახველას დახოცილი მიკრობებისაგან. დფტ ვაქცინის 1 დოზა (0,5 მლ), როგორც წესი, შეიცავს 30 ს.ე. დიფთერიის, 40 ს.ე. ტეტანუსის ანატოქსინებს და 4 ს.ე. ყივანახველას კომპონენტს. ვაქცინა თხევადია. ვაქცინაციის წინ აუცილებელია ფლაკონის შენჯღრევა ერთგვაროვანი შიგთავსის მიღებამდე. ინექცია კეთდება კუნთში (ინტრამუსკულარულად) – 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ბარძაყის კუნთის შუა მესამედის ანტეროლატერალურ ზედაპირზე. ზედა ასაკში ინექცია კეთდება მხრის შუა მესამედის გარეთა ზედაპირზე და/ან ბარძაყის კუნთის შუა მესამედის ანტეროლატერალურ ზედაპირზე. დაუშვებელია ვაქცინის შეყვანა დუნდულოს არეში, კანში ან კანქვეშ. გაყინვა აკრძალულია. ცივი ჯაჭვის მოთხოვნების დაცვის პირობებში ვაქცინის გახსნილი ფლაკონის გამოყენება დასაშვებია 1 თვის განმავლობაში.
3. **დტ** - ვაქცინა შედგება 2 კომპონენტისაგან: დიფთერია და ტეტანუსი. ვაქცინის 1 დოზა (0,5 მლ) შეიცავს 30 ს.ე. დიფთერიის ანატოქსინს და 40 ს.ე. ტეტანუსის ანატოქსინს. ვაქცინა წარმოადგენს არაერთგვაროვან სითხეს და აცრის ჩატარების წინ უნდა შეინჯღრეს.
4. **ტდ** - ვაქცინის 1 დოზა (0,5 მლ) შეიცავს 2–5 ს.ე. დიფთერიის ანატოქსინს და 40 ს.ე. ტეტანუსის ანატოქსინს. პრეპარატი შეიცავს დიფთერიის ანატოქსინის შემცირებულ რაოდენობას და გამოიყენება უფროსი ასაკის ბავშვების, მოზარდების და მოზრდილი პირების ვაქცინაცია/რევაქცინაციისათვის. ვაქცინა წარმოადგენს არაერთგვაროვან სითხეს და აცრის ჩატარების წინ ფლაკონი უნდა შეინჯღრეს.
5. **დტ** და **ტდ** ვაქცინების შენახვის პირობები და აცრის ტექნიკა და გახსნილი ფლაკონის გამოყენების წესი იგივეა, რაც **დფტ** ვაქცინისათვის.
6. **ოპვ** - პოლიომიელიტის ორალური ვაქცინა, შეიცავს პოლიომიელიტის ვირუსის სამივე სეროტიპის ატენუირებულ ცოცხალ შტამებს. ვაქცინა თხევადია, მისი ადმინისტრირება ხდება ორალურად (პირის ღრუში ჩანვეთებით) და 1 საინექციო დოზა შეადგენს 2 წვეთს. ცივი ჯაჭვის მოთხოვნების დაცვის პირობებში ვაქცინის გახსნილი ფლაკონის გამოყენება დასაშვებია 1 თვის განმავლობაში. თუ ვაქცინა ინახება 3 თვეზე მეტი დროის განმავლობაში სასურველია მისი გაყინვა -15°C -დან -25°C -მდე.
7. **ოპვ** – ინაქტივირებული პოლიომიელიტის ვაქცინა წარმოადგენს სუსპენზიას, რომლის ერთი დოზა (0,5 მლ) შეიცავს ველური პოლიომიოვირუსის სამივე ტიპის (I; II; III) დახოცილ შტამებს და სამივე შტამის მიმართ უზრუნველყოფს ჰუმორალური იმუნიტეტის გამომუშავებას. 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ინექცია კეთდება ბარძაყის კუნთის ანტეროლატერალური არის შუა მესამედში. ზედა ასაკში ინექცია კეთდება მხრის შუა მესამედის გარე ზედაპირზე ან ბარძაყის კუნთის შუა მესამედის ანტეროლატერალურ ზედაპირზე, დასაშვებია ინექციის გაკეთება კანშიც. ცივი ჯაჭვის მოთხოვნების დაცვის პირობებში ვაქცინის გახსნილი ფლაკონის გამოყენება დასაშვებია 1 თვის განმავლობაში.
8. **ბ ჰეპატიტი** - ვაქცინა მიეკუთვნება რეკომბინანტული ვაქცინების ჯგუფს. მიღებულია გენური ინჟინერიის მეთოდით ბ ჰეპატიტის ვირუსის გენის სუბერთეულის ჩართვით საფუარის სოკოში. ვაქცინა თხევადია, ინექცია (1 დოზა 0,5 მლ) 1 წლამდე ასაკის ბავშვებში კეთდება ინტრამუსკულარულად ბარძაყის კუნთის შუა მესამედის წინა ლატერალურ არეში, ხოლო მოზრდილებში - კეთდება მხრის შუა მესამედის გარე ზედაპირზე, ასევე, კუნთში. დაუშვებელია ვაქცინის შეყვანა ინტრავენურად, დუნდულოს არეში, კანში ან კანქვეშ. თუმცა, თრომბოციტოპენიისა და სისხლის შედედების პათოლოგიების შემთხვევებში, სისხლდენის თავიდან აცილების მიზნით აცრა შეიძლება გაკეთდეს კანქვეშაც. აკრძალულია ვაქცინის გაყინვა. ცივი ჯაჭვის მოთხოვნების დაცვის პირობებში ვაქცინის გახსნილი ფლაკონის გამოყენება დასაშვებია 1 თვის განმავლობაში.

- 9. დმტ+ჰეპა+ჰიზ** - დიფთერიის, ტეტანუსის, ყივანახველას, ბ ჰეპატიტის და ბ ტიპის ჰემოფილუს ინფლუენცას (**ჰიზ**) სანინალმდეგო კომბინირებული ვაქცინაა. ვაქცინის ერთი დოზა, **0,5 მლ**, შეიცავს არანაკლებ **30** ს.ე. ადსორბირებულ დიფთერიის ანატოქსინს, არანაკლებ **60** ს.ე. ადსორბირებულ ტეტანუსის ანატოქსინს, არანაკლებ **4** ს.ე. ყივანახველას დახოცილ ბაქტერიებს, **10** მკგ რეკომბინანტულ ბ ჰეპატიტის ანტიგენის (**HBsAg**) თვისებების მქონე პროტეინს და **10** მკგ **ჰიზ**-ის განმედილ კაფსულარულ პოლისაქარიდის. **1** წლამდე ასაკის ბავშვებში აცრა კეთდება ბარძაყის კუნთის შუა მესამედის ანტეროლატერალურ ზედაპირზე.
- ჰიზ კომპონენტები ვაქცინები გამოდის როგორც თხევადი, ასევე ლიოფილიზებული სახით. ლიოფილიზებული ვაქცინის აღდგენა ხდება ვაქცინის თანმხლები საინექციო სუსპენზიით. აღდგენილი ვაქცინის გამოყენება შესაძლებელია **6** სთ განმავლობაში. აკრძალულია როგორც თხევადი, ასევე ლიოფილიზებული ვაქცინის და მისი გამხსნელის გაყინვა.
- ჰიზ** კომპონენტები ვაქცინა, ასევე გამოდის სხვადასხვა ვაქცინური კომბინაციებით (**დმტ+ჰიპა+იპპ**, **დმტ+ჰეპა+ჰიზ+იპპ** და სხვ.)
- 10. წყყ -** წითელას, წითურას და ყბაყურას ვირუსის შემცველი კომბინირებული, ვირულენტობა დაქვეითებული ცოცხალი ვაქცინაა. გამოდის ფხვნილს სახით, რომელსაც თან ახლავს გამხსნელი. გამოყენების წინ აუცილებელია ვაქცინის გახსნა (აღდგენა) თანმხლები გამხსნელით. ვაქცინა და გამხსნელი შერევისას უნდა იყოს ერთნაირი ტემპერატურის. ვაქცინა ასაძრელად ვარგისია გახსნიდან (აღდგენიდან) **6** სთ-ის განმავლობაში. ვაქცინის ერთი დოზა - **0,5 მლ**, კეთდება ღრმად კანქვეშ, მხრის შუა მესამედის გარე ზედაპირზე.
- 11. პნეუმოკოკური ვაქცინა** გამოიყენება *Streptococcus Pneumoniae* სხვადასხვა სეროტიპის მიერ გამოწვეული ისეთი მწვავე და მძიმე დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით, როგორიცაა მენინგიტი, სეფსისი, ბაქტერიემია, ოტიტი, პნევმონია და სხვ. პოლისაქარიდული კონიუგირებული ვაქცინაა (ადსორბირებული) და წარმოადგენს სუსპენზიას. ერთი საინექციო დოზა შეადგენს **0,5 მლ-ს**, აცრა კეთდება ბარძაყის ან მხრის კუნთში. ვაქცინაციის კურსი შედგება **3** ინექციისაგან და აცრებს შორის მინიმალური ინტერვალი არის **4** კვირა. ვაქცინაციის დაწყების მინიმალური ასაკია **6** კვირა და სასურველია, აცრების კურსი დასრულდეს **6** თვის ასაკისათვის.
- 12. როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა** გამოიყენება როტავირუსებით (*Rotavirus*) გამოწვეული ინფექციების პროფილაქტიკისათვის. როტავირუსის სხვადასხვა სეროტიპი ახალშობილებში და ბავშვებში მწვავე დიარეების ძირითად გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს. ვაქცინა შეიცავს ვირუსის ცოცხალ ატენუირებულ შტამებს. ვაქცინა შესაძლებელია იყოს როგორც მონოვალენტური, ასევე პოლივალენტური შემადგენლობის. გამოდის როგორც ლიოფილიზირებული ფხვნილის (შესაბამისი გამხსნელით), ასევე თხევადი სუსპენზიის სახით. ვაქცინაციის კურსი შედგება **2** დოზისაგან. მისი ადმინისტრირება ხდება ორალურად (პირის ღრუში ჩაწვეთებით) და ერთი საინექციო დოზა შეადგენს **1 მლ-ს**. აცრებს შორის მინიმალური ინტერვალი უნდა იყოს **4** კვირა. სასურველია ვაქცინაციის პირველი დოზა გაკეთდეს **6 - 15** კვირის ასაკში, ხოლო ვაქცინაციის კურსი დასრულდეს **32** კვირის ასაკისათვის.
- 13. ჩუტყვაპილას საწინააღმდეგო ვაქცინა** გამოიყენება ჩუტყვაპილას პროფილაქტიკისათვის. ვაქცინა კეთდება **1** წელზე უფროსი ასაკის ბავშვებს და მოზრდილებს. ვაქცინა შეიცავს ცოცხალ, დასუსტებულ ვირუსს (*varicella-zoster*). გამოდის ფხვნილს სახით, რომელსაც თან ახლავს გამხსნელი. გამოყენების წინ აუცილებელია ვაქცინის გახსნა (აღდგენა) თანმხლები გამხსნელით. ვაქცინა და გამხსნელი შერევისას უნდა იყოს ერთნაირი ტემპერატურის. ვაქცინაციის კურსი შესაძლებელია შედგებოდეს როგორც **2** დოზისაგან, (აცრებს შორის მინიმალური ინტერვალი უნდა იყოს **4** კვირა), ასევე **1** დოზისაგან. საინექციო დოზა შეადგენს **0,5 მლ-ს** და ინექცია კეთდება მხრის შუა მესამედის გარე ზედაპირზე, კანქვეშ.
- 14. ადამიანის პაპილომაპირუსული ვაქცინა** გამოიყენება ადამიანის პაპილომაპირუსის (*Human Papillomavirus*) სხვადასხვა ტიპით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკისათვის და ეფექტურია მხოლოდ მასში შემავალი ვირუსების ტიპების მიმართ. ვაქცინა მიეკუთვნება რეკომბინანტული, ადსორბირებული ვაქცინების ჯგუფს და წარმოადგენს სუსპენზიას. ერთი საინექციო დოზა შეადგენს **0,5 მლ** და აცრა კეთდება კეთდება მხრის შუა მესამედის გარე ზედაპირზე, კუნთში. ვაქცინა უპირატესად გამოიყენება ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოსა და პრეკანცეროგენური მდგომარეობის (საშვილოსნოს ყელის უჯრედული ცვლილებები, რომელიც წარმოადგენს კიბოს განვითარების რისკს) პრევენციისთვის. აცრები ტარდება **10** წელზე უფროსი ასაკის გოგონებში და ვაქცინაციის კურსი არის სამჯერადი.

გაფრთხილება

15. პირველადი დონის სამედიცინო დაწესებულებაში ყველა სახეობის ვაქცინა, გამხსნელი, ასევე გახსნილი ვაქცინის ფლაკონი, აღდგენილი ლიოფილიზირებული ვაქცინები მაცივარში და ცივ ყუთებში უნდა ინახებოდეს $+2^{\circ}\text{C} - +8^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე ფლაკონის თერმოინდიკატორის ჩვენების გათვალისწინებით და ცივი ჯაჭვის მოთხოვნების დაცვის პირობებში.
16. აღდგენილი ლიოფილიზირებული ვაქცინები ასაცრელად ვარგისია გახსნიდან (აღდგენიდან) 6 სთ-ის განმავლობაში.
17. აცრის ადგილი, დოზირება, აცრებს შორის ინტერვალი, ასაკთან შესაბამისობა და შენახვის პირობები ყოველთვის დააზუსტეთ ვაქცინის თანმხლებ ინსტრუქციაში.
იხ. სშჯსდ მინისტრის 25.06.2010 წ. ბრძანება 183/წ
მუხლი 9. ვაქცინების ადმინისტრირება: მეთოდი, დოზა, ინექციის ადგილი;
მუხლი 10. ინექციის ადგილი ასაკის მიხედვით;

უსაფრთხო იმუნიზაციის წესები

იმუნიზაციის უსაფრთხოება – ეს ტერმინი მოიცავს ყველა ეტაპს ვაქცინის წარმოებიდან მის მართებულ შეყვანამდე. კერძოდ: თვით ვაქცინათა უსაფრთხოებას და უსაფრთხო ინექციურებას.

ინექცია არის უსაფრთხო:

- ა) **ასაცრელი პირისთვის** - თუ სამედიცინო პერსონალი ყოველთვის იყენებს სტერილურ შპრიცსა და ნემსს და სწორად ფლობს ინექციის ტექნიკას;
- ბ) **სამედიცინო პერსონალისათვის** - თუ ის გულმოდგინედ იცავს თავს ნემსით შემთხვევითი ჩხვლეტისაგან;
- გ) **საზოგადოებისა და გარემოსთვის** - თუ გამოყენებული საინექციო ინსტრუმენტების შეგროვება და განადგურება ხდება არსებული წესების მკაცრი დაცვით.

1. იმუნიზაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სამედიცინო პერსონალი ვაქცინაციის დაწყებამდე ვალდებულია ვიზუალურად დარწმუნდეს ვაქცინის უსაფრთხოებაში (ვარგისიანობაში) და ყოველთვის შეამოწმოს: ფლაკონისა და ვაქცინის მდგომარეობა, მისი ეტიკეტი, ვარგისიანობის ვადა და თერმოინდიკატორის ჩვენება კონტამინაციის, სხვადასხვა სახის დაზიანების, დაბალი ან მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების ნიშნების გამორიცხვის მიზნით;
2. **ვაქცინის გამოყენება აკრძალულია და ექვემდებარება ჩამოწერა/განადგურებას თუ:**
 - ა. ფლაკონზე შეინიშნება ბზარები და/ან სითხის გამოჟონვის ნიშნები;
 - ბ. ვაქცინა ვიზუალურად შეცვლილია ან მასში შეინიშნება მცურავი ნაწილაკები;
 - გ. გახსნილი ფლაკონი დასველებულია;
 - დ. ფლაკონის სახურავის მთლიანობა დაირღვა არასტერილური ნემსით;
 - ე. ლიოფილიზებული ვაქცინის აღდგენიდან გასულია 6 საათი და მეტი;
 - ვ. ფლაკონს არ აქვს ეტიკეტი ან ეტიკეტზე არ იკითხება წარწერები;
 - ზ. ლიოფილიზებული ვაქცინის ფლაკონზე არ არის მითითებული ვაქცინის აღდგენის თარიღი, საათი, წუთი;
 - თ. გამოყენებული თხევადი ვაქცინის ფლაკონზე არ არის მითითებული ფლაკონის გახსნის თარიღი;
 - ი. გასულია ვაქცინის ვარგისიანობის ვადა;
 - კ. ვაქცინის ფლაკონის თერმოინდიკატორის (ფთი) ჩვენება შეესაბამება III და IV დონეებს ფთი აჩვენებს სითბოს ჯამურ ზემოქმედებას ვაქცინის ფლაკონზე. თუ თერმოინდიკატორის შიდა კვადრატმა დაიწყო გამუქება, მაგრამ ჯერ კიდევ ბაცია გარე წრეზე, ფლაკონი გამოყენებული უნდა იქნას უფრო ადრე, ვიდრე ფლაკონები თერმოინდიკატორის უფრო ბაცი შიდა კვადრატით. (ცხრილი 2);
 - ლ. ვაქცინას არ ახლავს იმავე მწარმოებლის მიერ მოწოდებული შესაბამისი გამხსნელი;
 - მ. დარღვეულია გამხსნელის ფლაკონის მთლიანობა და/ან გამხსნელი გაყინულია;

3. კატეგორიულად აკრძალულია:

- ა. ლიოფილიზებული ვაქცინის აღსადგენად სხვა გამხსნელის გამოყენება. თითოეული სახის ლიოფილიზებული ვაქცინის აღსადგენად გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ვაქცინის თანმხლები, იმავე მწარმოებლისგან მოწოდებული გამხსნელი; არასათანადო გამხსნელის ან სხვა პრეპარატის გამოყენება გამხსნელად აქვეითებს ვაქცინის ეფექტურობას და შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე, ხანგრძლივი დარღვევა;
- ბ. ვაქცინის აღდგენა წინასწარ, პაციენტის მოსვლამდე;
- გ. არასტერილური შპრიცის და ნემსის გამოყენება ლიოფილიზებული ვაქცინის აღდგენის მიზნით;
- დ. ერთ შპრიცში სხვადასხვა ფლაკონიდან ამოღებული როგორც ერთი, ასევე, სხვა სახეობის ვაქცინების შერევა, თუ მწარმოებლის მიერ ვაქცინების ანოტაციაში არ არის სათანადო მითითება;
- ე. ნემსის ჩატოვება ფლაკონის თავსახურავში;
- ვ. შპრიცის წინასწარი ავსება ვაქცინით და ხანგრძლივი დროით დაყოვნება;
- ზ. ვაქცინით შევსებული შპრიცის დადება მაგიდაზე, სკამზე და სხვ., ამცრელი კაბინეტიდან (სამანიპულაციო) მისი გატანა და სათავსოში სიარული;

თვითღოპირებადი შპრიცების გამოყენება უსაფრთხო ინექციისთვის

1. თუ შპრიცები არის ორი სახის:

- ა) შპრიცზე დაფიქსირებული ნემსით და
 - ბ) შპრიცი, ცალკე შეფუთული შესაბამისი ტიპის ნემსით, რომელიც მიესადაგება მხოლოდ კონკრეტულ შპრიცს, თითოეული **თუ** შპრიცი შეფუთულია ინდივიდუალურ პლასტიკურ ან ქაღალდის პაკეტში;
2. **თუ** შპრიცის დეგუშის გადაადგილება წინ და უკან შესაძლებელია მხოლოდ **ერთხელ**, ვინაიდან შპრიცი არის თვითჩამკეტი, ამიტომ შპრიციდან ჰაერის გამოტუმბვის მიზნით არ შეიძლება დეგუშის ამოძრავება;
3. ლიოფილიზებული ვაქცინების გასახსნელად (აღდგენად) გამოიყენება მხოლოდ ერთჯერადი შპრიცები (2,0 მლ; 5,0 მლ და სხვ.) და ნემსები;

ატარის ჩატარების ზოგადი ტექნიკური ასპექტები

პირი, რომელიც ატარებს ინექციას ვალდებულია:

- 1. ჩატაროს ვაქცინაცია აცრებისათვის გამოყოფილ სუფთა ადგილზე, სადაც არ მუშაობენ სისხლთან ან სხვა ბიოლოგიურ სითხეებთან. ვაქცინაციისთვის საჭირო ყველა საგანი განათავსოს სპეციალურ მაგიდაზე.
- 2. შეამოწმოს ვაქცინის სახეობა, დოზა, პაციენტის ადგილზე ყოფნა, განსაზღვროს ვაქცინის შეყვანის ადგილი და მეთოდი;
- 3. ლიოფილიზებული ვაქცინის აღდგენის დროს დარწმუნდეს, რომ გამხსნელი და ვაქცინა არის ერთიდაიგივე ტემპერატურის ($+2^{\circ}\text{C}$ - $+8^{\circ}\text{C}$);
- 4. ფლაკონიდან ვაქცინის ყოველი დოზის ამოსაღებად ყოველთვის გამოიყენოს ახალი **თუ** შპრიცი;
- 5. შეამოწმოს შპრიცის კომპლექტის ვარგისიანობის ვადა და გაანადგუროს, თუ ვადა გასულია;
- 6. შეამოწმოს შპრიცის კომპლექტის მთლიანობა და გაანადგუროს დაზიანების გამოვლენის შემთხვევაში;
- 7. კომპლექტის გახსნის დროს არ შეეხოს ხელით ნემსს და არ გამოიყენოს თბ შპრიცი, თუ ის შეეხო არასტერილურ ზედაპირს;
- 8. მოათავსოს ნემსი ფლაკონში და ფლაკონი დაიკავოს ისე, რომ დოზის ამოღებისას ნემსი მთლიანად იყოს სითხეში ჩაყურსული ჰაერის შპრიცში შეწოვის თავიდან აცილების მიზნით. თბ შპრიცით ხდება ვაქცინის სრული დოზის 0,5 მლ-ს (ბჭუ შპრიცი – 0,05 მლ ან 0,1 მლ-ს) ამოღება.
- 9. ნემსი ამოიღოს ფლაკონიდან ისე, რომ არ შეეხოს ხელით. მოაბრუნოს შპრიცი ნემსით ზევით და, თუ ჰაერმა მაინც შეაღწია ცილინდრში, ცილინდრზე მსუბუქი დარტყმით გამოდევნოს

ჰაერის ბუშტები. შემდეგ დგუში ფრთხილად გადაადგილოს წინ 0,5 მლ ნიშნულამდე (პაჰ სთვის – 0,05 მლ ან 0,1 მლ).

10. შეამოწმოს ზუსტია თუ არა დოზა;
წინასწარ განსაზღვროს საინექციო ადგილი პაციენტის სხეულზე და საინექციო ადგილი განმინდოს 70°-იანი სპირტიანი ბამბის ტამპონით;
11. გააფრთხილოს პაციენტი და/ან მშობელი ინექციისათვის მზადყოფნის მიზნით;
12. დაიჭიროს ბავშვი მყარად და მზად იყოს ბავშვის მხრიდან მოულოდნელი მოძრაობისათვის როგორც აცრისას, ასევე აცრის დამთავრების შემდეგ;
13. შეიყვანოს ვაქცინის სრული დოზა. აცრის შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ დაახუროს ხუფი ნემსს;
14. ინექციის დასრულების შემდეგ გამოყენებული ნემსიანი შპრიცი ერთმანეთისგან განცალკევების (დაუშვებელია ნემსის გაღუნვა ან გადატეხვა ან გადაჭრა) და ქიმიური დამუშავების გარეშე, დაუყოვნებლივ ჩააგდოს სპეციალურ გაზრეუტისადმი მემდეგ უსაფრთხო ყუთში, რომელიც გამოიყენება ნახმარი საინექციო აღჭურვილობის უსაფრთხო შეგროვებისა და განადგურებისათვის.

ერთჯერადი და თვითბლოკირებადი შპრიცები ნემსებთან ერთად გამოყენებისთანავე უნდა ჩაიყაროს უსაფრთხო ყუთში და ყუთი 3/4-ით შევსების შემდეგ განადგურდეს.

აკრძალულია გამოყენებული შპრიცების და ნემსების გადაყრა ღია, ადვილად მისაწვდომ ადგილას, სადაც შესაძლებელია მათზე ფეხის დადგმა და/ან ალება, გადაყრა საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად.

16. მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების მიზნით სამედიცინო პერსონალი ვალდებულია:
 - ა. უზრუნველყოს თვითბლოკირებადი შპრიცების, ვაქცინების გამხსნელი შპრიცების და ნემსებისთვის უსაფრთხო ყუთების შესაბამისი რაოდენობის მარაგის ქონა;
 - ბ. შეაგოს ყუთის მოცულობის მხოლოდ 3/4 (დაახლოებით 80 შპრიცი), რის შემდეგ კონტეინერი უნდა დახუროს და დააკრას ეტიკეტი. ნახმარი ინსტრუმენტები არ გადაიტანოს (გადაყაროს) ერთი უსაფრთხო ყუთიდან მეორეში.
 - გ. განადგურებამდე უსაფრთხო ყუთი შეინახოს სამედიცინო დანესებულებაში ადამიანებისათვის უსაფრთხო ადგილზე;
 - დ. უსაფრთხო ყუთის დასაწვავად ან დასამარხად გამოძებნოს უსაფრთხო ადგილი.
 - ე. კონტეინერები, სასურველია დაინვას ლუმელში (ინსენერატორი) მინიმუმ 800°C-იანი ტემპერატურული რეჟიმის პირობებში, მაღალი ტემპერატურა უზრუნველყოფს შპრიცებისა და ნემსების ეფექტურ განადგურებასა და გარემოს ნაკლებ დაბინძურებას.
 - ვ. გამონაკლისის სახით დაშვებულია ღია ჰაერზე დანვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, შემდგომში ორმოში ჩამარხვით.

ა ც რ ა ბ ის მონიტორინგი

იმუნიზაციის პროგრამის განმახორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირები პასუხისმგებლები არიან როგორც სააღრიცხვო/საანგარიშგებო ფორმების შევსების სისრულესა და სისწორეზე, ასევე, სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობის აცრების ყველა მაჩვენებლის ანალიზზე და ამცრელი დანესებულებების მუშაობის ხარისხზე.

1. აცრების მონიტორინგი

ა.) იმუნიზაციის მონიტორინგი *I დონის* დანესებულებებისთვის რეკომენდებულია, ხოლო *II-III-IV დონის* დანესებულებებისთვის სავალდებულოა წარმოებდეს ყოველთვიურად შემდეგ მაჩვენებლებზე:

- 1 წლამდე ასაკის ბავშვების **დმტ+ჰიბ+ჰეპა**, აცრებით მოცვის დონე;
- 4 თვის და 29 დღის ასაკის ბავშვთა **დმტ+ჰიბ+ჰეპა**, აცრებით მოცვის დონე (დროულობა);
- ვაქცინების ხარჯვის მაჩვენებელი;
- **მომზადებულია კომპონენტები** „უარის“ და უკუჩვენებების მქონე ბავშვთა წილი (%);

ბ) აცრებით მოცვის დონე – ვაქცინირებულ პირთა (n) პროცენტი აცრებს დაქვემდებარებულ მოსახლეობის ჯგუფში (N). (მოცვის დონე = $n / N \times 100\%$).

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი სამსახურების ხელმძღვანელთა მოვალეობას

წარმოადგენს დაქვემდებარებულ სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობის აცრებით მოცვის დონის განსაზღვრა და მონიტორინგი.

- აცრებით დროული მოცვის მაჩვენებელი აჩვენებს იმ ბავშვთა პროცენტულ რაოდენობას, რომლებმაც 5 თვის ასაკისთვის მიიღეს **დჰტ+ჰიპ+ჰეპა**, აცრა.

გ) ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელი (კოეფიციენტი) აჩვენებს 1 აცრაზე დახარჯული ვაქცინის რაოდენობას.

$$\text{ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელი} = \frac{\text{დახარჯული და გაუვარგისებული ვაქცინის დოზათა ჯამური რაოდენობა}}{\text{რეალურად ჩატარებულ აცრათა რაოდენობაზე}}$$

- სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას იმ ამცრელ დაწესებულებაში გამოყენებული ვაქცინების რაოდენობის შესახებ, რომლებზეც ისინი არიან პასუხისმგებელნი.

- ინდიკატორად გამოიყენება **დჰტ+ჰიპ+ჰეპა, ოპვ, ნნშ** ვაქცინების დანაკარგი, რომელმაც შესაძლოა არაპირდაპირი გზით მოგვცეს ინფორმაცია ბავშვთა აცრებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. (10 დოზიანი და მეტი დაფასოება)

დ) ყოვანაგვლად კომპონენტზე უარის და უკუჩვენებების მქონე ბავშვთა წილი (%-ში) – 1 წლამდე ასაკის ბავშვთა აცრების დაბალი მოცვის მიზეზი შესაძლოა იყოს უსაფუძვლო უკუჩვენებები. (ჯანმო-ს მონაცემებით ბავშვები, რომელთაც დაუდგინდათ „1 თვეზე ხანგრძლივი“ და „მუდმივი“ უკუჩვენებები არ უნდა აღემატებოდეს კონტინგენტის 2%-ს).

- თუ აცრების მიმართ უკუჩვენებების ან უართა რაოდენობა იზრდება – სიტუაცია მოითხოვს სასწრაფო ორგანიზაციულ ჩარევას. გრძელვადიანი უკუჩვენებების გამო აცრების არჩატარების ან გადავადების კონკრეტული შემთხვევების განხილვა უნდა მოხდეს კომისიურად ექიმ-სპეციალისტთა მიერ.

მაცივრებში, საყინულეებში, თერმოკონტეინერებსა და ცივ ყუთებში ვაქცინებისა და გამხსნელების განთავსების, შენახვისა და ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფის წესები

ვაქცინებისა და გამხსნელებისთვის აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია სამაცივრე მონაცვობილობების – მაცივრების, საყინულეების, საყინულე-მაცივრების თერმოკონტეინერებისა და ცივი ყუთების სწორად ჩატვირთვა. სამედიცინო დაწესებულებაში აუცილებლად უნდა იყოს ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი პირი.

სავალდებულოა:

დადგენილი გრაფიკით $+2^{\circ}\text{C}$ -დან - $+8^{\circ}\text{C}$ -მდე ტემპერატურული რეჟიმის დაცვით, ვაქცინების გატანა/ტრანსპორტირება ცენტრალური ან რეგიონული/რაიონული საწყობებიდან სამედიცინო დაწესებულებებამდე;

1. საწყობებში და ამცრელ პუნქტებში ვაქცინების შენახვა $+2^{\circ}\text{C}$ -დან - $+8^{\circ}\text{C}$ -მდე ტემპერატურაზე;
2. ტემპერატურული რეჟიმის დაცვა ვაქცინების ტრანსპორტირებისას, მათ შორის აცრების გამსვლელი სესიის ჩატარების დროსაც;
3. ვაქცინებისა და გამხსნელების შენახვა $+2^{\circ}\text{C}$ -დან - $+8^{\circ}\text{C}$ -მდე ტემპერატურული რეჟიმის პირობებში აცრების ჩატარების დროსაც;
4. ტემპერატურული რეჟიმის დაცვით, ამცრელ პუნქტში აცრების გამსვლელი სესიების დროს დარჩენილი გამოუყენებელი (გაუხსნელი) ვაქცინის ფლაკონების დაბრუნება და შენახვა შესაბამის ტემპერატურაზე;
5. მაცივრების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, თერმოკონტეინერში და/ან ცივ ყუთში ვაქცინების, მათი გამხსნელების მოთავსება და ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფა;
6. ვაქცინების შენახვა/ტრანსპორტირებისას და ვაქცინაციის დაწყების წინ გაკონტროლდეს ვაქცინის ფლაკონის თერმოინდიკატორის (**ფთი**) ჩვენება (ცხრილი 1)
ვაქცინები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება თერმომგრძნობელობით. მათი განლაგების დროს გათვალისწინებულ უნდა იყოს როგორც ვაქცინების მახასიათებლები,

ასევე, მაცივრის ტიპი.

- I და II დონეებზე ვაქცინების შესანახი სპეციალური (ჰორიზონტალური) მაცივრის საყინულე განყოფილებაში ინახება მხოლოდ ყინულის ელემენტები, სამაცივრო ნაწილში კი - ყველა ვაქცინა. **ოპვ, ნფმ, პცშ** ინახება მაცივრის ფსკერზე, ხოლო მათი გამხსნელები ინახება სამაცივრო განყოფილების შუა ნაწილში. **დფტ, დტ, ტდ, ზ ჰეპატიტის** და **ჰიზ** კომპონენტის ვაქცინები ინახება მაცივრის შუა ნაწილში. III და IV დონეებზე ოპვ ვაქცინა ინახება გაყინულ მდგომარეობაში.

- საყინულეში ინახება ყინულის ელემენტები და ის ვაქცინები, რომლებიც ინახება 3 თვეზე მეტი დროის განმავლობაში და დასაშვებია მათი გაყინვა **ოპვ** და ლიოფილიზებულ (**ნფმ**, ნითელა, ნითურა, ყბაყურა, **პცშ**, მხოლოდ გამხსნელების გარეშე)).

- საოჯახო ტიპის მაცივარში ვაქცინების შენახვა შესაძლებელია მხოლოდ ამცრელ უბანზე და არაუმეტეს 1 თვის მარაგისა. საყინულე განყოფილებაში ინახება მხოლოდ ყინულის ელემენტები. საყინულეს ქვეშ პირველ თაროზე უნდა განლაგდეს **ოპვ, ნფმ** და **პცშ**. შუა თაროზე – **დფტ, დტ, ტდ** **დფტ+პცშ+ჰიზ** და **ზ ჰეპატიტის** ვაქცინები. ქვედა თაროზე უნდა ინახებოდეს ვაქცინების გამხსნელები. მაცივრის კარის თაროზე ვაქცინების, თერმომეტრებისა და თერმოინდიკატორების განთავსება აკრძალულია შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის არარსებობის გამო.

7. თერმომეტრი ყველა ტიპის მაცივარში მოთავსებული უნდა იყოს სამაცივრო განყოფილების შუა ნაწილში, ხოლო ტემპერატურის აღრიცხვა განხორციელდეს ერთიანი უნიფიცირებული ფორმით (ფორმები 1.7, 2.7).
8. მაცივრის შუა ნაწილში ასევე უნდა დაიდოს გაყინვის ინდიკატორი და თერმოინდიკატორი.
9. ვაქცინების განთავსებისას გაითვალისწინეთ, რომ ჰაერის ცირკულაციის მიზნით მაცივრის საერთო მოცულობის 30% უნდა იყოს ცარიელი;
10. აკრძალულია საკვები პროდუქტებისა და სხვა სამკურნალო პრეპარატების ვაქცინებთან ერთად შენახვა.
11. **ცივი ყუთი** (სხვადასხვა მოცულობის) – განკუთვნილია ვაქცინების ტრანსპორტირებისა და ელექტროენერგიის დეფიციტის პირობებში ვაქცინების დროებით შესანახად. ცივი ყუთში თავდაპირველად ეწყობა ყინულის ელემენტები (გვერდებზე და/ან ფსკერზეც), შემდეგ ვაქცინები: ფსკერზე - **ოპვ**, ლიოფილიზებულ ვაქცინები გამხსნელის გარეშე, შუაში და უფრო ზემოთკენ - **დფტ, დტ, ტდ, ჰეპ ზ, ჰიზ** ვაქცინა და გამხსნელები. ვაქცინებისა და გამხსნელების ფლაკონები და/ან ამპულები უშუალოდ არ უნდა ეხებოდეს ყინულის ელემენტებს, მათ შორის აუცილებლად უნდა იყოს მუყაო, პარალონი ან სხვა.
12. ფენოქსალასტის ან პარალონის საფენი (დამატებითი თავსახური) ასრულებს ცივი ყუთის დროებითი თავსახურის როლს და არა მარტო ცივად ინახავს ვაქცინის ფლაკონებს, არამედ მყარად აფიქსირებს და იცავს მათ. აცრების მიმდინარეობის პერიოდში ვაქცინები გაცილებით ხანგრძლივი დროით იქნება დაცული გადახურებისაგან თუ მათ მოვათავსებთ ფენოქსალასტის ან პარალონის საფენში.
13. **თერმოკონტეინერი** – სპეციალური ყუთია, რომელიც შექმნილია თერმოსის პრინციპით. თუ მასში მოვათავსებთ ყინულის ელემენტებს, გარკვეული დროის განმავლობაში (კონტეინერის მოდიფიკაციიდან გამომდინარე 1-8 დღე) ტრანსპორტირების ან შენახვისას შესაძლებელია ვაქცინებისა და მათი გამხსნელებისათვის აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნება.
14. მაცივრის უქონლობის ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, ვაქცინების შენახვა დასაშვებია თერმოკონტეინერსა და ცივი ყუთებში. ვაქცინებთან ერთად უნდა ჩაიდოს თერმომეტრი და ტემპერატურის საკონტროლო ბარათ-ინდიკატორი.
15. ვაქცინის პარტიისათვის ახალი თერმოინდიკატორის (ბარათი-ინდიკატორი) თანდასართავად საჭიროა მისი 30 წუთით მაცივარში მოთავსება და შემდეგ გააქტიურება დამცავი აპკის მოშორებით (მუქი ზოლი წარწერასთან-ინდიკატორი). საკონტროლო ბარათი-ინდიკატორის შევსება მოხდება ვაქცინის მარაგის მიღებისა და გაგზავნისას, შემდეგ იგი ინახება მიღებულ ვაქცინასთან ერთად.
16. ბარათი-ინდიკატორის (ცხრილი 1) მიღებისას/გაგზავნისას ივსება გრაფები:
 - ა) „თარიღი“ - მიღების/გაგზავნის თარიღის დაფიქსირებით;
 - ბ) „დანესებულება“ - მიღებიდან დანესებულების დასახელებით;
 - გ) „ინდექსი“ - თითოეული ინდიკატორის სექტორის შეფერილობის მდგომარეობა;

- დ) ვაქცინის განაწილების ადგილი;
17. ბარათი-ინდიკატორი უზენეს მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებას. ექსპოზიციის პერიოდის შესაბამისად თანმიმდევრულად ცისფრად იღებება A, B, C და D სექტორები. თუ არც ერთი სექტორი სრულად არ არის შეფერილი, ვაქცინა გამოიყენეთ ჩვეულებრივად.
 18. თუ "A", "B" და "C" სექტორები სრულადაა შეფერილი, ხოლო "D" არ შეიფერა, ეს ნიშნავს, რომ ვაქცინა ინახებოდა $+10^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალ, მაგრამ $+34^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალ ტემპერატურაზე დროის შემდეგი მონაკვეთის განმავლობაში:
 19. თუ "D" ინდიკატორიც შეფერილია ლურჯად, ეს ნიშნავს, რომ ვაქცინა $+34^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე ინახებოდა ორი საათის ან უფრო მეტი დროის განმავლობაში და ვაქცინის გამოყენება დაუშვებელია.

	ინდიკატორის შეფერილობის შეცვლის ვადები		
	A	AB	ABC
ვაქცინის შენახვის პირობები $+12^{\circ}\text{C}$	3 დღე	8 დღე	14 დღე
ვაქცინის შენახვის პირობები $+21^{\circ}\text{C}$	2 დღე	6 დღე	11 დღე

20. ვაქცინის შენახვისა და ტრანსპორტირებისას უნდა გაცონტროლეს ტემპერატურა. შემონდეს ვაქცინის შენახვის ვადა, რომელიც მითითებულია ეტიკეტზე. დაუშვებელია ვაქცინის გამოყენება, რომელსაც გასული აქვს და/ან გაურკვევლად აწერია გამოყენებ-შენახვა-აღდგენის თარიღები.
21. ვაქცინების მარაგისა და ვაქცინაციის უზრუნველსაყოფი მასალების ყოველი მიღება და გაცემა ყველა დონეზე ექვემდებარება დაუყოვნებელ აღრიცხვას, რომელიც ხორციელდება სტანდარტული ფორმით (ფორმა 1.6; ფორმა 2.6).
22. მარაგის აღრიცხვას და ინვენტარიზაციას თვეში ერთხელ ახორციელებს იმუნიზაციაზე პასუხისმგებელი პირი. მასვე ეკისრება ვაქცინების შენახვის ტემპერატურული რეჟიმის კონტროლი. ტემპერატურის რეგისტრაცია წარმოებს სტანდარტული ფორმით (ფორმა 1.7, ფორმა 2.7) ყოველდღიურად 2-ჯერ (სამუშაო დღის დასაწყისში და დასასრულს), რაც დასტურდება ხელმოწერით.
23. ბარათ-ინდიკატორზე A, AB და ABC სექტორების შეფერადების შემთხვევაში აღნიშნული ვაქცინის გამოყენების შესაძლებლობა და ვადები.

იმუნიზაციის შიგნით განვითარებული არასასურველი მოვლენები (იშბა) და მათზე ეპიდზოგრაფიული მონიტორინგი

1. ნებისმიერ ვაქცინას იმუნოგენობასთან ერთად აქვს რეაქტოგენობის გარკვეული ხარისხი და აქედან გამომდინარე არ შეიძლება აბსოლუტურად გამოირიცხოს იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენების (იშბა) განვითარების რისკი. იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენები პირობითად შესაძლებელია დაიყოს მსუბუქ რეაქციებად და აცრის შემდგომ გართულებებად, (აშშ), რომელიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ვაქცინის თავისებურებასთან, ან ვაქცინის შეყვანისას დაშვებულ პროგრამულ შეცდომებთან. ხშირ შემთხვევებში მიზეზობრივი კავშირი იშბა მოვლენასა და ვაქცინაციას შორის არ არსებობს და ჯანმრთელობის მდგომარეობის დარღვევა სხვა დაავადებასთან თანხვედრის შედეგია.
მსუბუქი რეაქციები - ტემპერატურის მცირე მომატება და მტკივნეულობა ინექციის ადგილზე, ორგანიზმში იმუნური პასუხის გამომუშავების პროცესის მიმდინარეობას გვიჩვენებს და ეს მოვლენები მოკლე დროში აღადგება მკურნალობის გარეშე.
2. განვითარების მიზეზის მიუხედავად, იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენები შესაძლებელია გახდეს ბავშვის ვაქცინაციის გაგრძელებაზე უარის საბაზი. შედეგად, მოიმატებს როგორც მართვადი ინფექციებით მათი დაავადების, ასევე, შემდგომში დაინვალიდებისა და ლეტალური გამოსავლის რისკი.
3. იმუნოზაციისადმი პოზიტიური დამოკიდებულებისა და ვაქცინაციის გასაუმჯობესებლად, აშგ-ზე ეპიდზოგრაფიული მონიტორინგი, იმუნოზაციის განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია.;
4. იმუნოზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენები ძირითადად კლასიფიცირდება 5 ჯგუფად:

- ა) ვაქცინით გამოწვეული – მოვლენა, რომელიც გამოწვეულია თვით ვაქცინაში შემავალი ნივთიერებებით, როდესაც ინექცია გაკეთებულია სწორად;
 - ბ) პროგრამულ შეცდომასთან დაკავშირებული – უსაფრთხო ინექციების წესების დარღვევით გამოწვეული მოვლენა;
 - გ) ვაქცინაციასთან დროში თანხვედრილი - მოვლენა, რომელიც შემთხვევით არის ასოცირებული ვაქცინაციასთან, მაგრამ არანაირად არ უკავშირდება არც ვაქცინას და არც პროგრამულ შეცდომას;
 - დ) ინექციით გამოწვეული – მოვლენა, რომელიც გამოწვეულია ინექციის მიმართ შიშის ან ტკივილის გამო
 - ე) უცნობი - როდესაც მოვლენის გამომწვევი მიზეზი დაუდგენელია;
5. თუ ვაქცინის რომელიმე სერიის რეაქტოგენობა აღემატება ვაქცინის ინსტრუქციით რეგლამენტირებულ მაჩვენებელს, ამ სერიის შემდგომი გამოყენების საკითხი წყდება სმჯსდ სამინისტროს მიერ;
 6. აშგ კვლევისას გასათვალისწინებელია ის ინფორმაცია, რომელიც მიღებულია პაციენტისგან ან მისი მშობლისგან, აცრამდე პაციენტის მდგომარეობის შესახებ, დაავადების პირველი სიმპტომების ხასიათს და გამოვლენის დროს, დაავადების დინამიკას, ექიმამდელ მკურნალობას, რეაქციას აცრის წინა დოზაზე და სხვ. ასევე, მოცემული ვაქცინის სერიასთან დაკავშირებულ სხვა, თუნდაც უმნიშვნელო მოვლენებზე;
 7. ვაქცინის გვერდითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია როგორც პრეპარატის თვისებებზე, ასევე ვაქცინირებული პირის ინდივიდუალურ თავისებურებებზე;
